ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632608214**
თარიღი:**23/03/2026**

ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,პ''-ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტის ,,ა.ე''-ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქ სამტრედიაში, **ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ** არსებულ უსახელდებო მონაკვეთს ეწოდოს ამირან ბახტაძის ქუჩის I-ლი შესახვევი, დანართის ორთოფოტოს შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი